ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №1208405

ნომერი: AR1206001

თარიღი : 20.03.2014

გაცემის თარიღი : 07.04.2014

გაცნობის თარიღი : 13.04.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა მარსაგიშვილი პ/ნ 01001024315
- თბილისი ორხევი თ.ჩანტლაძის ქ. კორ. 22ა ბ. 38

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.02.2014 წ. #1104771 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქალაქემ ნანა მარსაგიშვილმა 20.03.2014 წ. #AR1206001 განცხადებით მომართა სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 17.02.2014 წ. #1104771 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 17.02.2014 წ. ქ. თბილისში, გამზირი ალ. ყაზბეგი, N 34-ში არსებულ საკადასტრო ერთეულზე (საკად. კოდი: #01.14.03.040.014, ფართობი:4110 კვ.მ.) არსებული შენობის რეკონსტრუქციის

მიზნით დამტკიცებული იქნა #1104771 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ვინაიდან არსებული შენობის მდგრადომის გათვალისწინებით ვერ ხერხდება შენობის რეკონსტრუქცია განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 17.02.2014 წ. #1104771 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას კერძოს არსებული შენობის რეკონსტრუქციის ნაცვლად ახალი სამშენებლო ობიექტის დაფიქსირებას –ფუნქცია კომერციული, საოფისე.

სამსახურის 17.02.2014 წ. #1104771 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია – საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)–ის პარამეტრებით და პირობებით. დღევანდელი მდგომარეობით მიწის ნაკვეთზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონები, სადაც დაშვებულია მოთხოვნილი ფუნქციების ობიექტების მშენებლობა, შესაბამისად საპროექტო მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი ცვლილების განხორციელება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 17.02.2014 წ. #1104771 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.02.2014 წ. #1104771 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტის დასახელებაში დაფიქსირდეს – კომერციული, საოფისე დანიშნულების შენონა–ნაგებობა;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.02.2014 წ. #1104771 გადაწყვეტილებით დამტკიცებულიმიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს პუნქტი -საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ტერიტორიაზე არსებული შენობის დემონტაჟი, რაც უნდა აისახოს მშენებლობის ორგანიზების პროექტში, დემონტაჟის განსახორციელებლად წარმოდგენილი უნდა იქნეს იპოთეკარის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა;
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.02.2014 წ. #1104771 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებიდან ამოვარდეს პუნქტი წარმოდგენილი იქნეს დასკვნა სარეკონსტრუქციო შენობის მდგრადობის შესახებ;
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.02.2014 წ. #1104771 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.